**ისტორიის მასწავლებელთა თბილისის კავშირი**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

# წ ე ს დ ე ბ ა

**თბილისი 2014**

## 1. ზოგადი დებულებანი

1.1 **,,ისტორიის მასწავლებელთა თბილისის კავშირი,,** (შემდგომში **,,კავშირი"**) წარმოადგენს არასამთავრობო, მოქალაქეთა ნებაყოფლობით საზოგადოებრივ გაერთიანებას, არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომელიც მოქმედებს თვითმმართველობის, თვითდაფინანსებისა და სამეურნეო ანგარიშის პრინციპით.

1.2 ,,კავშირის,, ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმაა – კავშირი.

1.3 ,,კავშირი,, თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე წესდების შესაბამისად.

1.4 ,,კავშირს,, აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, მრგვალი ბეჭედი, ემბლემა, შტამპი, ბლანკი, საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშები საბანკო დაწესებულებებში (მათ შორის სავალუტოც), როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

1.5 ,,კავშირი,, ფლობს განკერძოებულ ქონებას, უფლებამოსილია განახორციელოს საკუთარი ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები და მოვალეობები, დადოს ხელშეკრულებები, კონტრაქტები, გარიგებები, გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ სასამართლოში.

1.6 ,,კავშირი,, იურიდიული პირის უფლებებს იძენს დადგენილი წესით მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

1.7 ,,კავშირს,, უფლება აქვს დააფუძნოს ფილიალები, წარმომადგენლობები და განყოფილებები იურიდიული პირის უფლებით, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ, რომლებიც იმოქმედებენ კავშირის მიერ დამტკიცებული წესდებით და მათ მიერ გაცემული მინდობილობით.

1.8 ,,კავშირს,, უფლება აქვს დაიცვას და წარმოადგინოს თავისი წევრების კანონიერი ინტერესები სახელმწიფო და სამართალდამცავ ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში.

## 2.მიზნები და ამოცანები

2.1 ,,კავშირის,, მიზნებია:

– ისტორიისა და სამოქალაქო გავათლების, როგორც სასწავლო საგნის როლის ამაღლება სკოლასა და საზოგადოებაში, მათი სწავლების ხარისხის გაუმჯობესება;
– ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელთა ინტელექტუალური თავისუფლების დაცვა და მათი დამოუკიდებელი კვლევების მხარდაჭერა;
– მასწავლებელთა პროფესიული დახელოვნებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზება;
– დამწყები მასწავლებლების პროფესიული დონის ამაღლების მხარდაჭერა;
– სწავლებისათვის საჭირო სასწავლო, მეთოდური და დამხმარე ლიტერატურის მომზადება და პედაგოგებისათვის მიწოდება;
– ინფორმაციის გავრცელება ისტორიისა და სამოქალაქო განათლების სწავლების ახალი მეთოდების თაობაზე ეროვნული და საერთაშორისო პუბლიკაციების გამოყენებით.

2.2 მიზნების განხორციელებისათვის ,,კავშირი,,:

– მოქმედი კანონმდებლობის თანახმად აფუძნებს საინფორმაციო/სატრენინგო ცენტრს;
– თავის კომპეტენციაში შემავალ ყველა საკითხზე აწარმოებს საქმიან ურთიერთობას ნებისმიერი ქვეყნის დაწესებულებებთან, ორგანიზაციებსა და ფირმებთან, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, დებს შესაბამის ხელშეკრულებებს;

–აწყობს კონფერენციებს, სემინარებსა და კონკურსებს;

–გამოსცემს მისი საქმიანობისათვის აუცილებელ სასწავლო და სარეკლამო_მასალას;

– დამოუკიდებლად შეიმუშავებს და ამტკიცებს თავისი საქმიანობისათვის საჭირო პროქტებსა და პროგრამებს;

– თანამშრომლობს ანალოგიური მიზნების მქონე უცხოურ ორგანიზაციებთან;

– ახორციელებს სამეცნიერო, საკონსულტაციო, სამეურნეო და სხვა სახის პრაქტიკულ საქმიანობას;

_ეწევა საქველმოქმედო საქმიანობას.

2.3 „კავშირს„ უფლება აქვს განახორციელოს ნებისმიერი სხვა საქმიანობა, რაც აუცილებელია მისი მიზნების მისაღწევად და არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.

## 3. წევრთა უფლება-მოვალეობანი

3.1 „კავშირის„ წევრი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირი (მოქალაქეობის მიუხედავად), რომელიც ცნობს ამ წესდებას, გადაიხდის საწევრო შესატანს და მონაწილეობას მიიღებს მის საქმიანობაში.

3.2 „კავშირის„ წევრი შეიძლება გახდეს ნებისმიერი სრულწლოვანი ადამიანი სქესის, ეროვნების, სარწმუნოების, განათლების, სოციალური მდგომარეობის, პოლიტიკური მრწამსის მიუხედავად, რომელიც თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს ჰუმანური მიზნებით, იზიარებს „კავშირის„ მიზნებს და გააჩნია რაიმე ფორმის ინტერესი ისტორიულ განათლებასთან.

3.3 „კავშირის„ წინაშე დამსახურებისათვის, ფიზიკური პირი შეიძლება არჩეულ იქნეს „კავშირის„ საპატიო წევრად.

3.4 „კავშირი„ ახალ წევრებს იღებს წერილობითი განცხადების საფუძველზე.

3.5 „კავშირის„ წევრს ნებაყოფილობით შეუძლია გავიდეს წევრობიდან წერილობითი განცხადების საფუძველზე. იგი წევრობიდან გასულად მიიჩნევა გამგეობის თავმჯდომარის სახელზე განცხადების შეტანის დღიდან ერთი თვის შემდეგ, გარდა შემთხვევებისა, როდესაც გასვლა გამოწვეულია საპატიო მიზეზით, რა შემთხვევაშიც გასვლის ვადის დაწესება არ არის სავალდებულო.

3.6 „კავშირის„ წევრი, რომელიც სისტემატურად თავს არიდებს მუშაობას, ან არასაპატიო მიზეზით არ იხდის საწევრო შესატანს ექვს (6) თვეზე მეტი ხნის განმავლობაში, ეწინააღმდეგება მის მიზნებსა და ამოცანებს გაირიცხება ასოციაციის წევრობიდან. გამგეობას უფლება აქვს დაუშვას გამონაკლისები აღნიშნული წესიდან.

3.7 წევრად მიღების, წევრობიდან გასვლის ან გარიცხვის საკითხებზე გადაწყვეტილებები მიიღება გამგეობის წევრთა 2/3-ით, ღია კენჭისყრით.

3.8 „კავშირის„ წევრს უფლება აქვს:

–მიიღოს მონაწილეობა მის საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში, გეგმების, პროექტების, პროგრამებისა და ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებაში.

– აირჩიონ და არჩეულ იქნეს „კავსირის„ მართვის ორგანოებში;

– შეიტანოს წინადადებები და რეკომენდაციები „კავშირის„ ყველა სახის საქმიანობის გამო;

– მიიღოს ინფორმაცია „კავშირისა„ და მისი საქმიანობის სფეროში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობის შესახებ;

– მონაწილეობა მიიღოს უცხოელ პარტნიორებთან ერთად „კავშირის„ მიერ

ორგანიზებულ სამეცნიერო-პრაქტიკულ გაცვლაში;
– გავიდეს „კავშირის„ წევრობიდან;

3.9 „კავშირის„ წევრი ვალდებულნია:

– შესაძლებლობების ფარგლებში მონაწილეობა მიიღოს „კავშირის„ საქმიანობაში, გამოიჩინოს ინიციატივა, ხელი შეუწყოს მათ წინაშე დასახული მიზნებისა და ამოცანების შესრულებას;
– დაიცვას წესდებით დადგენილი დებულებები;
– დაიცვას მორალისა და ეთიკის საყოველთაოდ მიღებული ნორმები;
– გაუწიოს პროპაგანდა „კავშირის„ მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას.

## 4.ქონება და ფინანსები

4.1 „კავშირის„ ქონებას შეადგენს ძირითადი საბრუნავი საშუალებები და სხვა ფასეულობანი, რომლებიც ასახულია მის დამოუკიდებელ ბალანსში ამ წესდებით გათვალისწინებული მისი საქმიანობის მატერიალური უზრუნველყოფისათვის.

4.2 დაფინანსების წყაროებია:
– წევრების საწევრო შესატანები;
– წევრთა ნებაყოფლობითი შესატანები;
– ქართველი და უცხოელი იურიდიული და ფიზიკური პირების შემოწირულობები;
–„კავშირის„ მიერ დაფუძნებული საწარმოებისა და ორგანიზაციების საწარმოო-სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები;
– სხვადასხვა ჩატარებული ღონისძიებებიდან მიღებული შემოსავალი;
– კანონით დადგენილი წესით, საგამომცემლო და საწარმოო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი;
– სხვა წყაროები, რომლებიც არ არის აკრძალული მოქმედი კანონმდებლობით;

4.3 ყოველწლიური საწევრო შენატანი განისაზღვრება 12 ლარით, რომელიც გადახდილ უნდა იქნას მთლიანად ან ნაწილობრივ ყოველი წლის 31 დეკემბრამდე.

4.4 „კავშირს„ შეუძლია საკუთრებაში იქონიოს შენობა-ნაგებობანი, მოწყობილობა, ინვენტარი, კულტურულ-საგანმანათლებლო და გამაჯანსაღებელი დანიშნულების ქონება, სატრანსპორტო საშუალებები, ფულადი სახსრები, აქციები და სხვა ფასიანი ქაღალდები, სხვა ქონება, რომელიც საჭიროა ამ წესდებით გათვალისწინებული საქმიანობისათვის.

## 5. საწარმოო-სამეურნეო საქმიანობა

5.1 „კავშირი„ უფლებამოსილია კანონმდებლობით განსაზღვრული წესით წარმართოს საწარმოო-სამეურნეო საქმიანობა და საწესდებო მიზნების შესრულებისათვის შექმნას იურიდიული პირის უფლებების მქონე საწარმოები და ორგანიზაციები. აღნიშნული იურიდული პირები სახელმწიფო ბიუჯეტთან ურთიერთობას ახდენენ მოქმედი კანონმდებლობით.

5.2 საწარმოო-სამეურნეო საქმიანობით მიღებული შემოსავალი არ განაწილდება მის წევრებს, მონაწილეებს შორის და გამოიყენება მხოლოდ საწესდებო მიზნების განხორციელებისათვის.

5.3 „კავშირი„ დადგენილი წესით იძენს მისთვის საჭირო პროდუქციას, საქონელს, შენობა-ნაგებობებს, მასალებს, ნედლეულს, მოწყობილობას, სატრანსპორტო საშუალებებს და სხვა ქონებას, იყენებს შემკვეთისაგან მიღებულ მატერიალურ რესურსებს.

5.4 „კავშირს„ მოქმედი კანონმდებლობით უფლება აქვს დააფუძნოს პრესისა და მასობრივი

ინფორმაციის სხვადასხვა საშუალებები (ჟურნალი, გაზეთი, სააგენტო, ტელე-რადიო კომპანია) და გასწიოს საგამომცემლო საქმიანობა.

5.5 „კავშირი„ ეწევა საბუღალტრო, სტატისტიკურ და ოპერატიულ აღრიცხვასა და ანგარიშგებას და პასუხისმგებელია მის უტყუარობაზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

## 6. ორგანიზაციური სტრუქტურა და მმართველობითი ორგანოები

6.1 „კავშირის„ მართვისა და კონტროლის ორგანოებს წარმოადგენს: საერთო კრება, გამგეობა, გამგეობის თავმჯდომარე, მისი მოადგილე და სარევიზიო კომისია.

6.2 მმართველობის უმაღლესი ორგანოა – საერთო კრება.

6.3 საერთო კრებას უფლება აქვს გადაწყვიტოს ყველა საკითხი, რომელიც ასოციაციის საქმიანობას ეხება, რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:

- წესდების მიღება და დამტკიცება;
- წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა;
- „კავშირის„ მუშაობის ძირითადი მიმართულებებისა და საქმიანობის გეგმების დამტკიცება, ძირითადი და მიზნობრივი პროგრამების შემუშავებისა და რეალიზაციის შესახებ გადაწყვვეტილების მიღება;
- „კავშირის," მისი განყოფილების, ფილიალებისა და წარმოადგენლობების საქმიანობის წლიური შედეგების, გამგეობის, სარევიზიო კომისიის ანგარიშგებისა და დასკვნების, ხარჯების და ზარალის დაფარვის წესის, ხარჯთაღრიცხვიანობის დამტკიცება;
- „კავშირის„ თავმჯდომარის, მოადგილის, გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევა;
- სპეციალური საკონსულტაციო საბჭოების შექმნა;
- „კავშირის„ მუშაობის პროცედურის წესების და სხვა ნორმატიული დოკუმენტების, მისი ორგანიზაციული სტრუქტურის დამტკიცება;
- „კავშირის", მისი განყოფილებების, ფილიალებისა და წარმომადგენლობების, თანამდებობის პირთა შორის ანაზღაურების პირობების განსაზღვრა;
- ლიკვიდაციის შეახებ გადაწყვეტილების მიღება, სალიკვიდაციო ბალანსის დამტკიცება.

6.4 საერთო კრება შესაძლოა იყოს მორიგი და რიგგარეშე. მორიგ საერთო კრებას იწვევს გამგეობა წელიწადში ერთხელ. რიგგარეშე საერთო კრებას თავმჯდომარე (ან მოადგილე) იწვევს თავისი ინიციატივით, გამგეობის, სარევიზიო კომისიის ან „კავშირის„ წევრთა მეათედის წერილობითი მოთხოვნით და კრების დღის წესრიგის მითითებით.

6.5 საერთო კრების მოწვევა და დღის წესრიგი ცხადდება არაუგვიანეს ერთი თვისა საერთო კრების დაწყებამდე. კრების მოწვევის შესახებ ყველა წევრს უნდა ეცნობოს წერილობით ან ბეჭდვით ორგანოში ინფორმაციის გამოქვეყნებით.

6.6 საერთო კრება უფლებამოსილად ითვლება, თუ მის მუშაობაში მონაწილეობას იღებს სრულუფლებიან წევრთა ერთი მესამედი (1/3) მაინც. საერთო კრებაში პირადად მონაწილეობად ჩაითვლება ვიდეო-აუდიო საკომუნიკაციო საშუალებებით მონაწილეობაც (მაგ. ვიდეო/ტელე კონფერენცია).

6.7 გადაწყვეტილებები საერთო კრების მიერ მიიღება შემდეგი წესის შესაბამისად:

- გადაწყვეტილება წესდების შეცვლის თაობაზე ორი მესამედის უმრავლესობით;
- „კავშირის„ მიზნის შეცვლის შესახებ გადაწყვეტილება საჭიროებს ყველა წევრის ხმათა ოთხ მეხუთედს;
- თავმჯდომარე და მისი მოადგილე ირჩევა 5 წლის ვადით დამსწრეთა ხმების 2/3-ით, ფარული კენჭისყრით;
- ყველა საკითხზე გადაწყვეტილებები მიიღება საერთო კრების დამსწრეთა ხმების

უბრალო უმრავლესობით.

6.8 იმ წევრებს, რომლებიც ვერ ესწრებიან კრებას, შეუძლიათ წერილობით მიიღონ მონაწილეობა კენჭისყრაში. ისინი უთანაბრდებიან კრებაზე დამსწრე წევრებს.

6.9 გადაწყვეტილება ნამდვილია მხოლოდ მაშინ, თუ საკითხი კრების მოწვევის დღის წესრიგში იყო შეტანილი.

6.10 „კავშირის" საქმიანობის ოპერატიული მართვის კონტროლისათვის იქმნება გამგეობა. გამგეობას ხელმძღვანელობს გამგეობის თავმჯდომარე, რომელიც არის „კავშირის" თავმჯდომარეც.

6.11 გამგეობა შედგება არა უმეტეს შვიდი (7) წევრისაგან, რომელთაც ირჩევს საერთო კრება 5 წლის ვადით. გამგეობის უფლებამოსილება გრძელდება ამ ვადის გასვლის შემდეგაც ახალი გამგეობის არჩევამდე.

6.12 გამგეობის მორიგი კრებები ტარდება თვეში ერთხელ.

6.13 გამგეობა უფლებამოსილია გადაწყვიტოს მის განსახილველად შეტანილი საკითხები, თუ სხდომაში მონაწილეობს გამგეობის წევრთა ნახევარზე მეტი.

6.14 გამგეობის გადაწყვეტილებებს იღებენ ხმების უმრავლესობით. თუ ხმები თანაბრად გაიყო, გადამწყვეტად ითვლება თავმჯდომარის ხმა.

6.15 გამგეობა ანგარიშვალდებულია საერთო კრების წინაშე.

6.16 გამგეობის კომპეტენციაა:

- გადაწყვიტოს წევრად მიღების, წევრობიდან გასვლის და გარიცხვის საკითხები;
- გადაწყვიტოს საერთო კრების მიერ დამტკიცებული საქმიანობის პროგრამებისა და პროექტების შესრულებასთან დაკავშირებული საკითხები;
- მოისმინოს გამგეობის თავმჯდომარის, პროგრამისა და პროექტების ხელმძღვანელების მოხსენებები საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებების შესახებ;
- გაუწიოს კოორდინაცია განყოფილებების, ფილიალებისა და წარმომადგენლობების საქმიანობას;
- მოიწვიოს საერთო კრება, განსაზღვროს დელეგატთა წარმომადგენლობითი ნორმები და არჩევის წესი;
- დაადგინოს ყოველწლიური საწევრო შენატანის გადახდის წესი და ოდენობა;
- განიხილოს „კავშირის" საქმიანობის ყველა საკითხი იმათ გარდა, რომლებიც მხოლოდ საერთო კრების კომპეტენციაა.

6.17 გამგეობის წევრები შეიძლება იყვნენ მხოლოდ „კავირის" წევრები (გარდა თავდაპირველი წევრებისა, რომლებიც ინიშნებიან დამფუძნებელთა კრების მიერ და რომლებზეც არ ვრცელდება წევრობის მოთხოვნა).

6.18 „კავშირის" საქმიანობის მიმდინარე მართვას, პროექტებისა და პროგრამების რეალიზაციას ახორციელებს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში მისი მოადგილე.

„კავშირის" თავმჯდომარე:

- მოქმედებს „კავშირის" სახელით, წარმოადგენს მას ყველა დონეზე და ყველა საკითხში ქვეყნის შიგნით და გარეთ;
- საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგენს საქმიანობის პროგრამებსა და პროექტებს;
- ახორციელებს „კავშირისა" და გამგეობის საქმიანობისათვის საერთო ხელმძღვანელობას;
- ახორციელებს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობას, კონტროლს უწესებს წესდებით გათვალისწინებული საქველმოქმედო და სხვა მიზნებისათვის შეძენილი და გამოყოფილი ფულადი სახსრებისა და მატერიალური რესურსების ხარჯვას;
- წარმართავს „კავშირის" მუშაობას, ახორციელებს კონტროლს საერთო კრების და გამგეობის გადაწყვეტილებების შესრულებაზე, განსაზღვრავს გამგეობის წევრთა ფუნქციებს;
- ამტკიცებს გამგეობის წევრთა საშტატო განრიგს და თანამდებობრივ სარგოს;

-ხსნის ანგარიშებს ბანკის შესაბამის დაწესებულებებში, ხელს აწერს საფინანსო დოკუმენტებს, „კავშირის„ სახელით დებს ხელშეკრულებებს, შეთანხმებებს, იძენს და არეგისტრირებს ქონებას გამგეობის გადაწყვეტილებების შესაბამისად, გასცემს მინდობილობებს.

6.19 „კავშირის„ საფინანსო სამეურნეო საქმიანობის კონტროლს ახორციელებს სარევიზიო კომისია, რომელსაც 5 წლის ვადით ირჩევს და რომლის წევრთა რაოდენობასაც განსაზღვრავს საერთო კრება.

6.20 სარევიზიო კომისიის წევრები შეიძლება იყვნენ მხოლოდ „კავშირის„ წევრები.
6.21 სარევიზიო კომისიის წევრები თავიანთი შემადგენლობიდან ირჩევენ კომისიის თავმჯდომარეს. სარევიზიო კომისიას შეუძლია თავისი საქმიანობის შემოწმებისათვის მოიწვიოს სპეციალისტები.
6.22 სარევიზიო კომისია მოვალეა მოაწყოს მიმდინარე შემოწმებები წელიწადში ერთხელ. რიგგარეშე რევიზიებს კომისია ატარებს საკუთარი ინიციატივით გამგეობის ან საერთო კრების დავალებით.
6.23 გამგეობას არა აქვს უფლება დაამტკიცოს ბალანსი სარევიზიო კომისიის დასკვნის გარეშე.
6.24 „კავშირის„ თავმჯდომარე ვალდებულია წარუდგინოს სარევიზიო კომისიას ხარჯთაღრიცხვა და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის გეგმა მომავალი წლისათვის.
6.25 სარევიზიო კომისია ანგარიშვალდებულია საერთო კრების წინაშე.
6.26 „კავშირის„ მიზნებისა და ამოცანების განხორციელების პროცესში შეიძლება შეიქმნას სპეციალური საკონსულტაციო საბჭოები.
6.27 საკონსულტაციო საბჭოებს ქმნის წევრთა საერთო კრება. საკონსულტაციო საბჭოს წევრები შეიძლება იყვნენ ის პირებიც, რომლებიც არ არიან ასოციაციის წევრები.

## 7. საქმიანობის შეწყვეტა

7.1 „კავშირის„ საქმიანობის ვადა არ დგინდება. იგი თავის საქმიანობას წყვეტს ლიკვიდაციის ან რეორგანი**ზაციის გზით. საქართველოს კანონმდებლობით** გათვალისწინებული წესით.
7.2 „კავშირის„ ლიკვიდაცია ხდება:
– საერთო კრების გადაწყვეტილებით, თუ მას ხმას მისცემს კრების დამსწრე წევრთა ორი მესამედი (2/3), ფარული კენჭისყრით;
– კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;
7.3 ლიკვიდაციის დროს საერთო კრების მიერ ინიშნება სალიკვიდაციო კომისია, რომელიც ამტკიცებს ლიკვიდაციის პროცედურას.
7.4 სალიკვიდაციო კომისია ასრულებს მიმდინარე საქმეებს, ადგენს მოთხოვნებს, აფასებს არსებულ ქონებას, ავლენს კრედიტორებს და ანგარიშს უსწორებს მათ, იღებს მესამე პირისათვის, აგრეთვე, დამფუძნებლისათვის „კავშირის„ ვალების გადახდის ზომებს, ადგენს სალიკვიდაციო ბალანსს და წარუდგენს გამგეობას.
7.5 ლიკვიდაცია დამთავრებულად, ხოლო „კავშირის„ საქმიანობა შეწყვეტილად ითვლება სახელმწიფო რეესტრში ამის შესახებ ჩანაწერის მომენტიდან.
7.6 ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება ნაწილდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 8. დავების გადაწყვეტა

„კავშირის„ წევრებს, ასევე „კავშირსა„ და მის წევრებს შორის წარმოქმნილი დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. შეუთანხმებლობის შემთხვევაში მხარეებს შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს.

## 9. დასკვნითი დებულებები

9.1 ამ წესდების რომელიმე დებულების ბათილობა არ გამოიწვევს მთელი წესდების ბათილობას. იგივე წესი მოქმედებს წესდებაში რაიმე ხარვეზის დადგენისას.

9.2 ბათილი დებულებების მაგივრად ან ხარვეზის შესავსებად შეთანხმებულ უნდა იქნას შესაბამისი მოწესრიგება, რომელიც მასთან უფრო ახლოა და შეესაბამება წესდების არსსა და მიზანს.

## ,,კავშირის,, დამფუძნებლები :

1. ნუგზარ მოლაშვილი, 01025020205, თბილისი, დიდი დიღომი, მე-3 მ/რაიონი, კ.35. ბინა 17. დაბ. 01.01.1956.

2. გიორგი კიკნაძე; პ/ნ12001008468; თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპ.№16. IV სად. ბ.№70; 1961.01.03

3. მანანა შეყილაძე; 01017017067, თბილისი, ვაჟა ფშაველას VI კვ. კორპ. 5 ბ, II სად, ბინა 40 , დაბ, 02.07.1958.

ნუგზარ მოლაშვილი /___________________________/
(დამფუძნებლის სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

გიორგი კიკნაძე /___________________________/
(დამფუძნებლის სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

მანანა შეყილაძე /___________________________/
(დამფუძნებლის სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

2014 წ. ბ.ა.